პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 დეკემბერი ოთხშაბათი 1971 წელი — ძველ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 289 (15199)

ხუთწლედი — ვადამდე!

ჯილდო მეხუთედ

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს (უფროსი ა. მიქაუტაძე) კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის 104,7 პროცენტით შესრულა. მოსახლეობას 3.822 ათასი მანეთის მომსახურება გაეწია, გეგმა კი 3.650 ათას მანეთს ითვალისწინებდა.

„გონივრული ორგანიზაციის შედეგად განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 2,3 პროცენტით ამაღლდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დიდძალი თანხა დაიზოგა. მიმდინარე წლის 9 თვეში მიღებულია 101,3 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

სამმართველოს კოლექტივმა მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ერთვნული ბიბლიოთეკა

ვეგვეკ. ვალდებულებაც

თბილისი. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამომშვებული იქნება 350 მილიონი ცალი სიგარეტი, — უპატაკა სამშობლოს № 2 თამბაქოს ფაბრიკის (დირექტორი ა. კეკელია) კოლექტივმა, რომელმაც ვალდებულებით ნაკისრი ვადაზე ორი კვირით ადრე 100,2 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

ხუთწლედის პირველი წელი ნაყოფიერი იყო მეთამბაქოეებისათვის, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად გაწეული სოციალისტური შეჯიბრებით, მათ საგრძნობლად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება, მომჭირნეულ, ყარათიანად იშრომეს და, რაც მთავარია, გაუმჯობესეს ნაწარმის ხარისხი — აქაურ სიგარეტს რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა „ხარისხის სახელმწიფო ნიშანი“. ახლახან ფაბრიკის კიდევ ერთი სახის სიგარეტმა „კოლხეთმა“ მოიპოვა საპატიო მარკა.

მუშაობენ რენტაბელურად

ფიათურა. (საკ. კორ.). სოციალისტური შეჯიბრების გამლით, რეზერვებისა და ახალი ტექნიკის გონივრული გამოყენებით ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა „საქშასტმშენის“ ტრესტის ფიათურის სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც 25 ნოემბერს შეასრულა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალება — ათვისა 3.020 ათასი მანეთი. გვირაბმშენებლებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 114 ათასი მანეთით შეამცირეს, სამშობლოს 208 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცეს.

ლენინური ჯილდოს ლაურეატი

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავი საამქროს კოლექტივმა გადაჭარბებით გაანაღდა ნოემბრის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 500 ტონაზე მეტი პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელმა 102 პროცენტს მიაღწია, თვითღირებულება კი ერთი პროცენტით შემცირდა.

საამქროს საერთო მაჩვენებლებში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ უფროს ოპერატორებს მ. აფხაზავას, გ. რეხვიაშვილს, უფროს მეალეგეს ტ. გრიგოლაშვილს და სხვებს.

ლენინური ჯილდოს ლაურეატი

ფოთი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

კოლექტივის პროგრამა

PRAVDA

14 დეკემბრის მოწინავე

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ეკონომიკა ერთიანი გეგმით ვითარდება. სკკპ XXIV ყრილობამ საპირად ცნო, რომ 1971-1975 წლების საერთო სოციალურ-ეკონომიური პროგრამის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა რგოლს, მათ შორის გაერთიანებებს, საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო და სხვა ორგანიზაციებს, წლების მიხედვით განაწილებული ხუთწლიანი გეგმები ჰქონდეთ, ეს დიდმნიშვნელოვანი გადწყვეტილება უკვე ხორციელდება.

ცნობილია, რომ შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის ყრილობის დირექტივებით, სამინისტროთა და უწყებათა წინასწარი დავალებებით, შეიმუშავეს თავიანთი ხუთწლედების პროექტები. როგორც წესი, ეს კეთდებოდა ფართო მასების მონაწილეობით, გულდასმით და დიდი პასუხისმგებლობით. მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ავლენენდნენ ახალ რეზერვებს, შეჰქონდათ საყურადღებო წინადადებანი გეგმების პროექტებში. მშრომელთა შემოქმედებითმა ინიციატივამ გამოავლინა დამატებითი შესაძლებლობანი წარმოების გაფართოებისათვის, მისი ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამის შედეგად ბევრმა კოლექტივმა დაისახა ხუთწლედის მიჯნები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატებიან სამინისტროებებისაგან და უწყებებისაგან მიღებულ წინასწარ დავალებებს. ასე იშვა შემხვედრი გეგმები და ვალდებულება-გეგმები — დაძაბული, მაგრამ სავსებით რეალური. მათ საფუძვლად უდევთ საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, სიმძლავრეთა კიდევ უფრო სრული გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ღრმად მოფიქრებული ღონისძიებები.

კრემენჩუგის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, მაგალითად, შეიმუშავა თავისი ხუთწლედის პროექტი, რომელშიც გაითვალისწინა, რომ გამოუშვას 36 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე სამინისტრომ დასახა. დაძაბული გეგმები შეადგინეს საავტომობილო მრეწველობის სხვა საწარმოებმაც. სწორედ ქარხნებში შემუშავებულმა ამ პროექტებმა შესაძლებელი გახადა გაეღიდებინათ თავდაპირველი საკონტროლო ციფრები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან მიიღეს მთელი დარგისათვის, რათა წარმოების მოცულობა გაეზარდათ 82 პროცენტიდან 83,8 პროცენტამდე, ხოლო მოგება 2,7-დან 3,1-ჯერ. რეზერვების ძიება მნიშვნელოვან მატებას იძლევა სხვა დარგებშიც.

ახლა, როცა მეცხრე ხუთწლიანი გეგმა მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, მშრომელთა კოლექტივების კონკრეტული საწარმოო პროგრამების შემუშავება დამამთავრებელ სტადიაში შევიდა. სამინისტროები და უწყებები მოწოდებული არიან უახლოეს დღეებში ხუთწლიანი გეგმის ყველა მაჩვენებელი გააცნონ საწარმოებს, მშენებლობებსა და ორგანიზაციებს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დავალებანი უნდა განაწილდეს წლების მიხედვით, ხოლო 1972 წლის ძირითადი მაჩვენებლები — კვარტალურად. ამასთან მეტად საჭიროა არ დაუშვათ, რომ შემცირებული მიჯნები დასახული იყოს ხუთწლედის პირველი წლებისა და მომავალი წლის პირველი ორი კვარტალისათვის.

მიღებულ დავალებათა გათვალისწინებით შრომითმა კოლექტივებმა არაუგვიანეს 1972 წლის 15 თებერვლისა უნდა დაუსტატონ და საბოლოოდ დაამუშაონ თავიანთი ხუთწლიანი გეგმები. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თვითეული ასეთი გეგმა ყოველმხრივ ითვალისწინებდეს საწარმოს თავისებურებებს, რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რაც შეიძლება მეტად უწყობდეს ხელს ხუთწლედის ისეთი მთავარი ამოცანის უთუო შესრულებას, როგორიც არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

გზადაგზა დგება ბევრი პრაქტიკული საკითხი, რომლებზეც კიდევ და კიდევ უნდა მოვიფიქროთ კოლექტიურად. როგორ გავადიდოთ ახალი მაღალხარისხოვანი პროდუქციის, განსაკუთრებით მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვება, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა? როგორ დავაჩქაროთ კიდევ უფრო სრულყოფილი მანქანების, მექანიზმების, მასალების შემუშავება და წარმოების ათვისება? რა უნდა ვქნათ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებისათვის, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, ხელის ოპერაციების მექანიზაციისათვის? როგორ შევამციროთ პროდუქციის მასალატევადობა, განვამტკიცოთ მომჭირნეობის რეჟიმი, გავადიდოთ სოციალისტური დაგროვება? საჭიროა არა მარტო ვიპოვოთ კონკრეტული პასუხი ამ და სხვა კითხვებზე, არამედ დავსახოთ კიდევ ღონისძიებათა სისტემა ჩაფიქრებული ამოცანების რეალიზაციისათვის, დავადგინოთ ვადები, დავასახელოთ შემსრულებლები.

საწარმოთა ხუთწლიანი გეგმების შედგენა ახალი, დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა. დღემდე, როგორც ცნობილია, ბევრი საწარმოო კოლექტივი მუშაობდა წლიური გეგმებით. ქარხნების, შახტების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გადასვლა ხუთწლიან დაგეგმვაზე საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ საწარმოო დავალებათა დიდ სტაბილურობას, დავნერგოთ ხანგრძლივი მოქმედების პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივები, რომელთა ბაზაზე შეიქმნება ეკონომიური სტიმულირების ფონდები, კოლექტივებს, მათს ხელმძღვანელებს ახლა შეუძლიათ შეიფასონ სამეურნეო გადაწყვეტილებათა სხვადასხვა ვარიანტი არა მარტო მომდინარე, ხანმოკლე ეფექტის პოზიციებიდან, არამედ პერსპექტივის გათვალისწინებით. უდავოა, ეს საშუალებას მოგვცემს მიზანდასახულად წარმართოთ მეცადინეობა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის დიდ ღონისძიებათა შესასრულებლად.

როგორც ყოველი ახალი საქმე, საწარმოთა ხუთწლიანი გეგმების შედგენა მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციათა სამინისტროთა დაძაბულ მუშაობას, დიდ ყურადღებას. აქ შეიძლება იყოს ხიფათებიც, შეცდომები და ხარვეზები, საჭიროა მათი რაც შეიძლება სწრაფად გამოვლინება და აღმოფხვრა. განსაკუთრებული კონტროლია საჭირო იმ საწარმოებისადმი, რომლებიც თავიანთი ხუთწლედების შემცირებულ პროექტებს გვთავაზობენ, თავს ვერ ართმევენ მომდინარე წლის გეგმებს. რა თქმა უნდა, ყველაზე იოლია დაკუთმოთ ასეთ კოლექტივებს. შეეუმციროთ დავალება, მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი, ამით ზიანს მივაყენებდით სახალხო მეურნეობას. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ გამოავლინოთ ახალი რეზერვები, დავეხმაროთ ჩამორჩენილ საწარმოებს, განვამტკიცოთ, თუ საჭიროა, მათი ხელმძღვანელობა და კიდევ უფრო სწრაფად დავაწინაუროთ მოწინავეთა დონემდე სწორად იქცე

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲕᲔᲨᲘ

მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად რაიონში ზანავის კოლმეურნეობის კომუნისტები მოგვევლინენ.

ზანაველებმა, ჯერ კიდევ სამეურნეო წლის დასაწყისში, როცა ისინი აჯამებდნენ წინა წლის შედეგებს და განიხილავდნენ ახალი ხუთწლედის ამოცანებს, სხვა საკითხებთან ერთად მსჯელობის საგნად გახადეს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. პარტიულ კრებაზე ითქვა, რომ ზანავის კოლმეურნეობისათვის, ისევე როგორც მთელი ადიგენის რაიონისათვის, ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა, რომელიც კვლავ ნელი ტემპით ვითარდება. მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. საამისოდ კოლმეურნეობას ბევრი რეზერვი აქვს და საჭიროა მათი ამოქმედება.

მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა, კომუნისტმა ი. ინასარიძემ წამოაყენა წინადადება გაეუმჯობესებინათ კოლმეურნეობის სათიბები. მან თავისი ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა, რომ მთელ სათიბებს გაწმენდდნენ, დაიცავდნენ პირუტყვისაგან, დამაზადებდნენ ორჯერ მეტ თივას, ვიდრე ეს ველი იყო ათვალისწინებული.

კოლმეურნეობის აგრონომმა, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ტ. ბერიძემ კრებაზე შეიტანა წინადადება დაენერგათ სათიბების ადრეული რწყვა, რისთვისაც გამოიყენებინათ მთებიდან ჩამონადენი თოვლის წყალი.

მათს წინადადებებს მხარი დაუჭირეს კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ვ. ჭიშკარიანმა, ა. კოჩალიძემ, გ. ინასარიძემ და სხვებმა. კრებაზე შემუშავებულ იქნა ამ საქმიან წინადადებათა განხორციელების ღონისძიებანი.

ზანაველი კომუნისტები მალე სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სათიბების გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, კომუნისტმა ა. კიკაბიძემ და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ტ. ბერიძემ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს რაიგზეთის საშუალებით მოუწოდეს გაეუმჯობესებინათ ბუნებრივი სათიბები, დაენერგათ მათი ადრეული რწყვა, ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

ორი წლის საკვები პირუტყვს! — ასეთი იყო მათი დევიზი.

დასამალავი არ ღირდა, რომ რაიონის მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები წლების მანძილზე განიცდიდნენ პირუტყვის საკვების ნაკლებობას, რის გამო იძულებული ხდებოდნენ თივა თუ ნამჯა შეეძინათ რესპუბლიკის გარეთ, რაც დიდ ტვირთად აწვებოდა მათ. ასეთი ვითარების შემდეგ ზანაველ კომუნისტთა თაოსნობა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესახებ მარილაკის მხარეშვერის ღირსი იყო. ამიტომ აღარც პარტიის რაიკომმა დააყოვნა. სპეციალი განიხილა ბიუროს სხდომაზე, მოიწონა და რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ურჩია მხარი დაეჭირათ ამ სასარგებლო წამოწყებისათვის.

მალე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

ზანაველებს პირველნი გამოეხმაურნენ სოფლების ფხეროს, უდის, არალის, დიდი სმადის, ლელოვნის კოლმეურნეობების, მთის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ თავიანთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ჩვენთან არ დარჩენილა ისეთი საზოგადოებრივი მეურნეობა, რომელსაც ზანაველთა ინიციატივის პასუხად არ ეკისროს ახალი ვალდებულებები და მათ შესასრულებლად არ დაესახოს სათანადო ღონისძიებანი.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის დასახულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია, მასში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა. სწორედ აქ ინინა თავი რაიონის პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შემოქმედებითმა მოღვაწეობამ. მათი ხელმძღვანელობით ბრძოლა საზოგადოებრივი პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის სოფლის ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის პირველი რიგის ამოცანად გადაიქცა. საკვების დამზადების საქმეში ჩაება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მშრომელი.

ახე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რაიონის მინდვრებსა და სათიბებში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, უბნები, ფერმები, ბრიგადები, რგოლები, მექანიზაორები, მემინდვრეობის და მეცხოველეობის ცალკეული მუშაკები.

შეჯიბრების სწორად მოწყობამ თავისი შედეგი გამოიღო. რაიონმა დიდი გადამეტებით შეასრულა პირუტყვის საკვების დამზადების წლიური დავალება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობამ საზოგადოებრივი პირუტყვისათვის დაგროვა წლინახევრისა და ორი წლის მარაგი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თაოსნობის ინიციატორებმა — ზანაველებმა, აგრეთვე სოფლების უდის, ფხეროს, ბოლაჯრის, ქვემო ენთიელის, შოყის კოლმეურნეობათა მშრომელებმა.

მაგრამ სოციალისტური შეჯიბრება მარტო საზოგადოებრივი პირუტყვის საკვების დამზადებისათვის როდი გაიშალა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე დაიწყო ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ყველა დავალების ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრება გაიშალა საუკეთესო მებაღის, მებოსტნის, მეკარტოფილის, მექანიზატორისა და მწველავის საპატიო წოდების მოპოვებისათვის. უდავოა საპატიო წოდების ღირსი გახდება ის, ვინც მიაღწევს მაღალ მაჩვენებლებს. გაბედულად დანერგავს ნარმოებაში მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას. დაეხმარება ჩამორჩენილებს და ფიქრობენ ამ საქმეში ჩაერთონ ლენინის ორდენოსან ს. მინაძის, ამავე მეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადირის თ. გორგოძის, სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მწველავის, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის თ. ბოჩიკაშვილის, პატარა სმადის კოლმეურნეობის მესინმინდის ი. ფოფხაძის, ფხეროს კოლმეურნეობის მეკარტოფილის პ. პეტრიაშვილისა და სხვათა მუშაობის გამოცდილებას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სოციალისტური შეჯიბრების წარმატებისათვის ფართოდ იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმას — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ფოტოსურათების საპატიო დაფაზე მოთავსებას, მათი გვარების შეტანას მოწინავე ადამიანთა საპატიო წიგნში, საპატიო სიგელებით, ფულადი და ნატურალური პრემიებით, ფასიანი საჩუქრებით, ტურისტული საგზურებით დაჯილდოებას. მოწინავეებისათვის ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

ფხეროს კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ჭიღლაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. კაციტაძე) შეჯიბრების სწორი ორგანიზაციის შედეგად ყოველწლიურად იზრდება თვითეული კოლმეურნის შრომის ნაყოფიერება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ეკონომიურად ძლიერდება როგორც კოლმეურნეობა, ისე კოლმეურნეთა ოჯახები. ფხეროელები მეორე წელია არავის უთმობენ რაიონულ გარდამავალ წითელ დროშას მეკარტოფილეობაში. მან კარგი მოსავალი მოჰყავთ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობებიდანაც. ბოლო დროს კოლმეურნეობაში რენტაბელური გახდა მეცხოველეობა.

რაიონში კარგად არიან ცნობილნი ამ კოლმეურნეობის მოწინავენი, მწველავები შ. შეყლაშვილი, ქ. საკანდელიძე, მ. ჭიღლაძე და სხვები, რომლებმაც დიდი ხანია შეასრულეს წველადობის წლიური დავალებები და ახლა ვალდებულებათა განაღდებისათვის იბრძვიან.

კოლმეურნეობამ რაიონში ერთ-ერთმა პირველმა ვადამდე გადამეტებით გაანაღდა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება.

ვარხნის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. კოხოძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ქ. გორგოძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე უ. ლიპარიშვილი) წელს ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. ვარხნაში ორი უბანი, ორი ფერმა, ექვსი ბრიგადა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად. კომუნისტური შრომის დამკვრელია 34 მუშა, ხოლო 125 მუშა ჩაბმულია ამ საპატიო წოდებისათვის მოძრაობაში. ვარხნის მეურნეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს მოხის საბჭოთა მეურნეობა.

ნაცადი მეთოდი — სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ არის გაშლილი წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოში. აქ თვალსაჩინო ადგილზეა გაკრული ლამაზად გაფორმებული სოციალისტური ვალდებულებანი, სისტემატურად უშვებენ შეჯიბრების ბიულეტენს, კედლის გაზეთს, შეჯიბრების შედეგებს ყოველთვიურად აჯამებენ და გამარჯვებულებს ყოველმხრივ ახალისებენ.

პარტიის რაიონული კომიტეტი, რომელიც მშრომელთა მეცადინეობას წარმართავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ყოველმხრივ უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, მის სწორ ორგანიზაციას. სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის დაწესებულია პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები მეკარტოფილეობაში, მებოლეობაში, მეცხოველეობასა და მარცვლეულის წარმოებაში.

გასული წლიდან შემოვიღეთ გარდამავალი ვიმპელები დაბის ორგანიზაციების, სანატორიუმებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის. ვიმპელები გადაეცემათ საწარმოო დავალებათა შესრულებისა და სანამუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

რაიკომის პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განვიხილავთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ცალკეულ საკითხებს. ამ მიზნით პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე პერიოდულად ვისმენთ ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების ანგარიშებს.

შეჯიბრებაში ჩაბმულია რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა. სამრეწველო საწარმო, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

ამჟამად რაიონში კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის 300-ზე მეტი კაცი, კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისათვის — 80-ზე მეტი კოლექტივი. რაიონის სამრეწველო საწარმოთა ყოველი მეექვსე მუშა ხუთი დღის საწარმოო დავალებას ოთხ დღეში ასრულებს.

სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციისა და მასში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის შედეგია ის, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვადამდე გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის, თივის მიყიდვის დავალებები.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. მაგრამ უფრო დიდი მიღწევები გვექნებოდა, რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობასა და საწარმო-დაწესებულებაში მთელი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდნენ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას და ამ საქმეში ადგილი არ ჰქონდეს ფორმალიზმს.

შეჯიბრების სწორი ორგანიზაციისა და მასში ფართო მასების ჩაბმისათვის ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ჩორჩანისა და კახეთის კოლმეურნეობების, რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ამჟამად რაიონში კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის 300-ზე მეტი კაცი, კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისათვის — 80-ზე მეტი კოლექტივი. რაიონის სამრეწველო საწარმოთა ყოველი მეექვსე მუშა ხუთი დღის საწარმოო დავალებას ოთხ დღეში ასრულებს.

სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციისა და მასში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის შედეგია ის, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვადამდე გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის, თივის მიყიდვის დავალებები.

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲘᲛᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ როდი იცის, რომ მცენარეული ცხიმები ადამიანისათვის, მეტადრე შუახანს გადაცილებულებისათვის, ძალიან საჭირო საკვებია. ისინი დიდი რაოდენობით იხმარება საკონდიტრო წარმოებაში, მათგან დამზადებული ნამცხვარი უფრო გემრიელი და არომატულია.

ჩვენს რესპუბლიკაში მცენარეულ ზეთებსა და ცხიმებს ამზადებს თბილისის ცხიმკომბინატი, რომელიც ერთ-ერთი დიდი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში და აქ დამზადებული პროდუქცია იგზავნება არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, არამედ მოძმე რესპუბლიკებშიც.

კომბინატი წელიწადში უშვებს 1.100 ტონა მზესუმზირას დაფასოებულ ზეთს, 20 დასახელების დაფასოებულ მარგარინს, 2 ათას ტონა ქონს საკონდიტრო წარმოებისათვის, 400 ტონა გლიცერინს, 4 ათას ტონა ცხიმოვან მჟავებს სანთლის წარმოებისათვის, 550 ტონა ხუთი დასახელების მაიონეზს.

მეცხრე ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას კომბინატის წინაშე. 1972-1974 წლებში უნდა განვითარდეს ზეთისა და მაიონეზის საამქროების რეკონსტრუქცია, რის შემდეგ მზესუმზირას ზეთის წარმოება 1.100 ტონიდან გაიზრდება 2.500 ტონამდე, ხოლო მაიონეზისა — 700 ტონამდე, რაც არსებულ სიმძლავრეს 150 ტონით გადააჭარბებს.

მომდინარეობს ელექტროლიზური საამქროს გაფართოება, რის შემდეგ წყალბადის გამოშვება საათში 20 კუბური მეტრით გაიზრდება.

როგორც წესი, საწარმოში ცხიმოვანი ზეთების გადამუშავების შემდეგ ვიღებთ ცხიმოვან მჟავებს სანთლის დასამზადებლად. მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ავაშენოთ ხელის სანთლის საამქრო, რომლის წარმადობა დღეღამეში 35 ტონა საპონი იქნება.

1972 წელს დამთავრდება კაფეს-საკონდიტროს მშენებლობა. ეს საწარმო კომბინატის მიერ გამოშვებული ცხიმებით დაამზადებს მრავალფეროვან და არომატულ საკონდიტრო ნაწარმს. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ახლო მომავლის საქმეა და მომხმარებელი დარწმუნდება, რომ მცენარეული ზეთები და ცხიმებისაგან დამზადებული ნაწარმი გაცილებით უკეთესი და სასარგებლოა ადამიანისათვის.

საწარმოს კოლექტივმა დიდი წარმატებით დაამთავრა მერვე ხუთწლედი და კიდევ უფრო ნაყოფიერად დაიწყო ახალი ხუთწლედის პირველი წელი, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლითა და მორალური და მატერიალური სტიმულირების გონივრულად გამოყენების შედეგად საწარმო ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებას.

კომბინატმა სასაქონლო და საერთო პროდუქციის თერთმეტი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას 559 ათასი მანეთით გადააჭარბა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდა 140 ტონა მარგარინის პროდუქცია, 925 ტონა მცენარეული ცხიმი, 9 ტონა მაიონეზი და 16 ტონა დაფასოებული ზეთი. დანადგარების რაციონალურად გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,6 პროცენტით ამაღლდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 23 ათასი მანეთით. 10 თვეში მიღებულია 39 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მცენარეული ცხიმების მისაღებად მტკიცე რთული ტექნოლოგიური და ქიმიური პროცესები სრულდება. ზეთები შეიცავენ უნაჯერო მაღალმოლეკულურ ცხიმოვან მჟავებს, ამიტომ ჰიდროგენიზაციის მიზანია ეს უკანასკნელი გადავიყვანოთ ნაჯერში. ეს ხდება წყალბადის მიერთებით, როცა ყველა პროცესი დამთავრდება, მცენარეული ზეთები გადაიქცევა მცენარეულ ქონად.

მარგარინის წარმოებისათვის, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა, ქონსა და ზეთს უნდა მოვაშოროთ ის თავისებური გემო, რომელიც ნედლეულს აქვს. ეს პროცესები მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურის პირობებში. დამზადებული ქონი მიდის სპეციალურ გამაცივებლებში, საიდანაც ის გადაეცემა მარგარინის წარმოებას. მისი დამზადების ყველა პროცესი მექანიზებულია.

საერთოდ მცენარეული ზეთების გადამუშავების შემდეგ მიღებულ მცენარეულ ქონს, რომლისაგანაც მზადდება მაღალხარისხოვანი მარგარინი. მცენარეული ზეთებიდან, რომლებსაც არ იყენებენ ადამიანის საკვებად, მზადდება ტექნიკური ქონი ცხიმოვანი მჟავებისა და გლიცერინის მისაღებად.

ყველა ეს ქიმიური პროცესები მიმდინარეობს დახურულ ფორმებში და ავტომატიზებული და მექანიზებულია. ჩვენს უზარმაზარ საამქროებში რომ შეხვალთ, მხოლოდ თითოოროლა კაცს თუ დაინახავთ, ესენი არიან სპეციალისტები, რომელთა გონებასა და სურვილს ემორჩილებიან ეს უშველებელი დანადგარები. როგორც აღვნიშნეთ, საამქროებში მიმდინარეობს მეტად რთული ქიმიური პროცესები და აქ რაიმე პატარა გადახვევა, ტექნოლოგიის დარღვევა ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი სპეციალისტების — რაფინაციის საამქროს უფროსის ზ. სიდოროპულოს, ზეთისა და მაიონეზის წარმოების უფროსის გ. ჩხაიძის, ელექტროლიზური საამქროს უფროსის თ. ჭიკანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მტკიცედ იცავენ ყოველგვარ ტექნოლოგიურ პროცესს და სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩვენი პროდუქცია — ზეთები, მარგარინი, მაიონეზი და სხვა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ხუთწლედის პირველი წელი იწურება. შეჯიბრება კიდევ უფრო ზლის ფრთებს, ვიქმნთ ახალ რეზერვებს მიმდინარე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის და ახალი წლის წარმატებით დაწყებისათვის.

Თ. ᲭᲣᲢᲘᲫᲔ,
თბილისის ცხიმკომბინატის დირექტორი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲮᲣᲚᲝ.** დიოკნისი წინათ ერთ-ერთი ჩამორჩენილი სოფელი იყო. ახლა ძველი ქოხმასების ადგილი ახალმა ოდა სახლებმა დაიკავა. ამდამად ამ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არის ორი საშუალო, სამი რვაწლიანი, ოთხი დაწყებითი სკოლა 1.100 მოსწავლით, რომელთა სწავლა-აღზრდას ოთხმოცამდე მასწავლებელი ემსახურება.

სოფლის ცენტრში მუშაობს 35-საწოლიანი საავადმყოფო, ხოლო პაქსაძეების, კორტხოსია და ბეღლეთის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევენ საფერშლო-საბებია პუნქტები, მშრომელთა სამსახურშია აგრეთვე კულტურის სახლი, 3 სასოფლო ბიბლიოთეკა, ამდენივე კლუბი, 10 სასურსათო და სამრეწველო მაღაზია.

Ი. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

● **ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ.** სოფელ დიდ კუზში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამრეწველო საქონლის ახალი მაღაზია, ხოლო ქალაქ წულუკიძესა და სოფელ კონტუთში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასურსათო პავილიონები.

ახალი მაღაზია და პავილიონები აიგო ტრესტ „საქკოოპშენის“ ქუთაისის № 4 სამშენებლო სამმართველომ.

Გ. ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

● **ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ.** სოფელ დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა დაათვალიერეს ენგურჰესის მშენებლობა. ექსკურსანტები იყვნენ ზუგდიდის ქალაღლდის კომბინატშიც. წარმოების მუშაობის შესახებ დიდჭყონელებს ესაუბრა კომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგი პ. ლაგვილავა.

Ს. ᲝᲩᲣᲯᲐᲕᲐ.

● **ᲝᲜᲘ.** რამდენიმე წელიწადია კულტურის სახლთან მუშაობს კინომოყვარულთა კლუბი „ეკრანი“. ხშირად ეწყობა კინოფილმების განხილვა. მაყურებლებმა ნახეს და განიხილეს ფილმები „მაღე გაზაფხული მოვა“, „ჯვარცმული კუნძული“, „ფერისცვალება“, „გათავისუფლება“, „ღიმილის ბიჭები“. კლუბს გეგმით გათვალისწინებული აქვს განიხილოს ფილმები: „მეფე ლირი“ „დიდოსტატის მარჯვენა“, „იყო შაშვი მგალობელი“.

Ნ. ᲓᲔᲕᲔᲚᲐᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲓᲐᲛᲜᲐᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲜᲔᲜ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲙᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

რედაქციამ მიიღო მამსილებელი წერილი, რომელშიც მსილებული იყო სოფელ ოზაანის კოლმეურნეობაში საკონდიტრო ქონების მითვისება და სხვა სახის დამახინჯებანი. წერილი შესამოწმებლად გადაგზავნა პარტიის წითელწყაროს რაიკომს, რომელმაც რედაქციას აცნობა: გამოყოფილმა კომისიამ შეისწავლა ოზაანის კოლმეურნეობის შესახებ მამსილებელი წერილის სინამდვილე. გამოირკვა რომ 25 ჰექტარი მზესუმზირას ნათესი მოუვლელი იყო, ამის გამო მოსავალი მხოლოდ სილოსად იქნა გამოყენებული, ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბინის მშენებლობის თანხის მითვისებას.

დადგინდა, რომ მშენებლობის ბრიგადის ხელმძღვანელი ლ. ცქიტიშვილი კოლმეურნეობის გამგეობის შეუთანხმებლად მოელაპარაკა გ. ქურხულიშვილს საცხოვრებელი ბინის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად შესასრულებელი სამუშაოსათვის გარკვეული თანხის ანაზღაურების საკონდიტრო ნაწარმს. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ახლო მომავლის საქმეა და მომხმარებელი დარწმუნდება, რომ მცენარეული ზეთები და ცხიმებისაგან დამზადებული ნაწარმი გაცილებით უკეთესი და სასარგებლოა ადამიანისათვის.

საწარმოს კოლექტივმა დიდი წარმატებით დაამთავრა მერვე ხუთწლედი და კიდევ უფრო ნაყოფიერად დაიწყო ახალი ხუთწლედის პირველი წელი, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლითა და მორალური და მატერიალური სტიმულირების გონივრულად გამოყენების შედეგად საწარმო ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებას.

კომბინატმა სასაქონლო და საერთო პროდუქციის თერთმეტი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას 559 ათასი მანეთით გადააჭარბა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდა 140 ტონა მარგარინის პროდუქცია, 925 ტონა მცენარეული ცხიმი, 9 ტონა მაიონეზი და 16 ტონა დაფასოებული ზეთი. დანადგარების რაციონალურად გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,6 პროცენტით ამაღლდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 23 ათასი მანეთით. 10 თვეში მიღებულია 39 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მცენარეული ცხიმების მისაღებად მტკიცე რთული ტექნოლოგიური და ქიმიური პროცესები სრულდება. ზეთები შეიცავენ უნაჯერო მაღალმოლეკულურ ცხიმოვან მჟავებს, ამიტომ ჰიდროგენიზაციის მიზანია ეს უკანასკნელი გადავიყვანოთ ნაჯერში. ეს ხდება წყალბადის მიერთებით, როცა ყველა პროცესი დამთავრდება, მცენარეული ზეთები გადაიქცევა მცენარეულ ქონად.

მარგარინის წარმოებისათვის, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა, ქონსა და ზეთს უნდა მოვაშოროთ ის თავისებური გემო, რომელიც ნედლეულს აქვს. ეს პროცესები მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურის პირობებში. დამზადებული ქონი მიდის სპეციალურ გამაცივებლებში, საიდანაც ის გადაეცემა მარგარინის წარმოებას. მისი დამზადების ყველა პროცესი მექანიზებულია.

საერთოდ მცენარეული ზეთების გადამუშავების შემდეგ მიღებულ მცენარეულ ქონს, რომლისაგანაც მზადდება მაღალხარისხოვანი მარგარინი. მცენარეული ზეთებიდან, რომლებსაც არ იყენებენ ადამიანის საკვებად, მზადდება ტექნიკური ქონი ცხიმოვანი მჟავებისა და გლიცერინის მისაღებად.

ყველა ეს ქიმიური პროცესები მიმდინარეობს დახურულ ფორმებში და ავტომატიზებული და მექანიზებულია. ჩვენს უზარმაზარ საამქროებში რომ შეხვალთ, მხოლოდ თითოოროლა კაცს თუ დაინახავთ, ესენი არიან სპეციალისტები, რომელთა გონებასა და სურვილს ემორჩილებიან ეს უშველებელი დანადგარები. როგორც აღვნიშნეთ, საამქროებში მიმდინარეობს მეტად რთული ქიმიური პროცესები და აქ რაიმე პატარა გადახვევა, ტექნოლოგიის დარღვევა ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი სპეციალისტების — რაფინაციის საამქროს უფროსის ზ. სიდოროპულოს, ზეთისა და მაიონეზის წარმოების უფროსის გ. ჩხაიძის, ელექტროლიზური საამქროს უფროსის თ. ჭიკანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მტკიცედ იცავენ ყოველგვარ ტექნოლოგიურ პროცესს და სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩვენი პროდუქცია — ზეთები, მარგარინი, მაიონეზი და სხვა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ხუთწლედის პირველი წელი იწურება. შეჯიბრება კიდევ უფრო ზლის ფრთებს, ვიქმნთ ახალ რეზერვებს მიმდინარე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის და ახალი წლის წარმატებით დაწყებისათვის.

Ზ. ᲭᲣᲢᲘᲫᲔ,
თბილისის ცხიმკომბინატის დირექტორი.

ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲛᲐᲡ წინათ რედაქციამ მიიღო შ. ქასრაშვილისა და სხვათა სიგნალი, რომელიც ეხებოდა სალამის სკოლებში ორსებულ ნაკლოვანებებს. აღნიშნული განცხადება ადგილზე შეისწავლეს პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტისა და „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენლებმა.

გამოირკვა, რომ მუშა-ახალგაზრდობის № 1 და № 4 საშუალო სკოლების მუშაობაში მართლაც ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მოსწავლეთა თითქმის ნახევარი აცდენს მეცადინეობას. მაგალითად ა. წ. 2 ნოემბერს მუშა ახალგაზრდობის № 4 საშუალო სკოლაში 187 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა მხოლოდ 93, მუშა ახალგაზრდობის № 1 საშუალო სკოლაში კი 126 მოსწავლიდან მეცადინეობაზე 67 გამოცხადდა.

საშუალო სკოლებში გახსნილია პარალელური კლასები, რაც საჭირო არ არის. არ წარმოებს მოსწავლეთა გაკვეთილებზე გამოცხადების ყოველდღიური აღრიცხვა. მუშა ახალგაზრდობის სკოლებს მუშაობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ მიმდინარე წლის 11 ნოემბერს იმსჯელა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ᲥᲣᲩᲐᲐ ᲗᲣ ᲪᲮᲔᲕᲘᲡ?

ᲐᲡᲔ უყურადღებოდ მიტოვებული ქუჩა ქალაქ ბოლნისში მეორე არ არის. უფრო სწორად ეს ქუჩა, რომელიც ნინოშვილის სახელს ატარებს, დახრამულ ხევს უფრო მოგვაგონებს. საკმარისია წვიმა წამოვიდეს, რომ აქ გავლა შეუძლებელი. სიბინძურეა თვით ქუჩის დასაწყისში — წისქვილთან.

ქუჩის დანაგვიანებაში ზოგჯერ თვით ამ ქუჩის მცხოვრებლებიც იღებენ „აქტიურ მონაწილეობას“. ამას ისიც ემატება, რომ დაზიანებულია სასმელი წყალი მილები და დაღვრილი წყალი ატალახებ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲡᲘ). ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲘᲡ შემდეგ საერთაშორისო ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამთავრა ახლანდელი სესიის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვა.

კამათში ამ საკითხზე გამოვიდა 60-ზე მეტი ორატორი. მათმა უმრავლესობამ მკაცრად დაგმო ისრაელი აგრესორები, რომლებიც უარს ამბობენ შეასრულონ გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ჯადაწესებულებანი აგრესიის დაუყოვნებელივ შეწყვეტისა და ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის პროექტი წარდგენა აზიაა-ფრიკის ქვეყნების დიდმა ჯგუფმა.

რეზოლუცია ისრაელს მოუწოდებს მთლიანად შეუწყოს ხელი იარინგის სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი მოწესრიგების მიღწევის პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას.

აქ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის განხილვის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია კვლავ აღმოჩნდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და თავისუფლების პირწავარდნილი მტრების ბანაკში.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲡᲘ). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, რომელმაც დღეს განაახლა ინდოსტანის ნახევარკუნძულის მდგომარეობის განხილვა, უარყო რეზოლუციის ამერიკული პროექტი.

საბჭოს მუდმივი წევრებიდან ამ პროექტს ხმა მისცეს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატებმა. საბჭოთა კავშირმა ხმა მისცა ამერიკული პროექტის წინააღმდეგ, რადგან იგი არ ითვალისწინებს ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის ძირეული მიზეზების ლიკვიდაციის ღონისძიებებს. ინგლისმა და საფრანგეთმა თავი შეიკავეს კენჭისყრის დროს. პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა ავრეთვე პოლონეთის დელეგატმა.

უშიშროების საბჭოში დღევანდელი კენჭისყრის შედეგებმა კვლავ ცხადყვეს ჩინეთის დელეგაციის საძრახისი როლი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან ერთად კვლავ ცდილობს წინაღუდგეს კანონიერი უფლებებისათვის აღმოსავლეთის ბანგალიის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

შეერთებულ შტატებთან ერთად პეკინელმა დელეგატმა გაილაშქრა აგრეთვე ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის წინადადების წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოეწვიათ ბანგლა დეშის წარმომადგენლები.

როგორც თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა აღნიშნა, პეკინის ხელმძღვანელობამ შეასრულა საძრახსი, წამქეზებლური როლი, რომელიც ხელს უწყობს ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ვითარების გამწვავებას.

უშიშროების საბჭომ, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებმა გაილაშქრეს ხალხის ნება-სურვილის საფუძველზე აღმოსავლეთ პაკისტანის პოლიტიკური მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოწესრიგების წინააღმდეგ.

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ. 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲡᲘ). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა სამდივნომ პრესას გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიციას ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მომხდარი მოვლენების მიმართ. ამერიკის პრეზიდენტის ნიქსონის ახალი მუქარა ინდოეთის მიმართ, ხაზგასმულია, კერძოდ, განცხადებაში, მოწმობს, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა ინდოეთსა და ბანგლა დეშზე.

ამავე დროს, აღნიშნულია განცხადებაში, სრული ძალით ვლინდება ნიქსონისა და მაო ძე-დუნის გარიგება ინდოეთის წინააღმდეგ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელიც ულტრამემარცხენე და ულტრარევოლუციური ლოზუნგებით ინიღბება და ცდილობს გათიშოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, ახლა სავსებით უჭერს მხარს იაპონ ხანის რეაქციულ სამხედრო დიქტატურას.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲝᲛᲑᲔᲘᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ. 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲡᲘ). ვუშინ ბომბეიში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ მოაწყო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მასობრივი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა რეზოლუციაში, რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს, გამოხატეს დიდი მადლობისა და მეგობრობის გრძნობები საბჭოთა ხალხისა და მთავრობისადმი, რომლებიც მხარს უჭერენ ინდოეთს მისთვის რთულ ვითარებაში.

14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ** პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს 21-ე სესია, რომელმაც განიხილა საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის თანამედროვე ასპექტები და ამ ასპექტებიდან გამომდინარე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ამოცანები.

● **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ** მთავრობამ ბუნდესტაგს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის მეორე პალატას — განსახილველად წარუდგინა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონის პროექტი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონის პროექტი.

● **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ** რესპუბლიკაში დემოკრატიული ორგანიზაციების მოწოდებით შეიქმნა საინიციატივო კომიტეტი „თავისუფლება ანჯელა დევისს“. კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, კომიტეტი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ საპყრობილეებიდან ანჯელა დევისი და ყველა სხვა პოლიტიკური პატიმარი.

● **ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲛᲐ** 6-დან 10 დეკემბრამდე კომპონგჩამის პროვინციაში გაანადგურეს საიგონის მარიონეტული ჯარების დამკვრელი დაჯგუფება: მწყობრიდან გამოიყვანეს 550-ზე მეტი საიგონელი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, მოსპეს 70 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

● **ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲡ** კონტრაქტს იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს მიჰყიდონ „უოსპის“ ტიპის შვიდი ინგლისური ვერტმფრინავი. ეს თემთა პალატაში განაცხადა საგარეო საქმეთა და ეროვნულ თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჯოზეფ გოდბერმა. მისი განცხადებიდან ჩანს, რომ [illegible] ეს ხელშეკრულება [illegible] ბის შესაძლებლობაც.

● [illegible] ინგლისელი ქალი ჯერ კიდევ [illegible] ებს მამაკაცების თანაბარ ხელფასს ერთნაირი შრომისათვის. ეურნალმა „ინდასტრიალ რელეიშენ რევიუ ენდ რიპორტმა“ გამოიკვლია ათობით ფირმა და აღმოაჩინა, რომ მხოლოდ მათი მეოთხედი უხდის ქალებს იმდენს, რამდენსაც მამაკაცებს. დანარჩენები ყოველგვარი სბაბით დისკრიმინაციას უწევენ ქალებს. მთელ რიგ დარგებში ქალები იღებენ იმ თანხის მხოლოდ ნახევარს, რითაც ანაზღაურებენ მამაკაცთა შრომას.

● „**ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ**“ დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვამ, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ, ჩაფუშა ამ დღეებისათვის გთავალისწინებული ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს სესია. ეს სესია, რომელზეც უნდა განეხილათ სახოგლო-სამეურნეო პრობლემები, გადატანილია.

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ სააგენტოები იუწყებიან, რომ ქალაქ დაკის მისადგომებთან და მის გარეუბნებში მიმდინარეობს გაჯიერებული ბრძოლები. როგორც პაკისტანელი მეთაურები აღიარებენ, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, პაკისტანის ჯარების თავდაცვა „დეზორგანიზებულია“. ინდოეთის ჯარები „მუქი ბაჰინთან“ ერთად დაკის უტიენენ სამი მიმართულებით: ჩრდილოეთით ქალაქ ნარჭინგდიდან, აღმოსავლეთით ქალაქ დაუდანდიდან და სამხრეთით — ჩანდპურიდან.

როგორც ინდოეთის სამხედროსაზღვაო ძალების შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და საზღვაო ავიაციამ დაბომბეს ჩიტაგონგის ნავსადგური და აეროდრომი, აგრეთვე რაჯაპურისა და ჩირინგის სამხედრო ობიექტები.

როგორც პაკისტანის ოფიციალური წარმომადგენელი დაკიდან იუწყება, ექვსი პაკისტანელი გენერალი, მათ შორის აღმოსავლეთ პროვინციის დასავლეთ ნაწილში პაკისტანის ჯარების შტაბის უფროსი გენერალი რაო ფარმანალი, იაჰია ხანისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერენ, რომ მზად არიან დაყარონ იარაღი, თუ უზრუნველყოფილ იქნება აღმოსავლეთ პაკისტანიდან დასავლეთ პაკისტანის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის უსაშიშრო ევაკუაცია. მაგრამ, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა იაჰია ხანმა დასავლეთ პაკისტანის სამხედრო წრეების ზეიმოქმედებით უარყო ეს წინადადება და ბრძანა განაგრძონ წინააღმდეგობა.

დასავლეთის ფრონტზე, როგორც ინდოეთის სამხედრო საჯარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, ომის დაწყებიდან ათი დღის შემდეგ, პაკისტანის ჯარებმა რაიმე მნიშვნელოვან უპირატესობას ვერ მიაღწიეს. მოწინააღმდეგემ ხელი იგდო მხოლოდ პატარა უბნები ჰუსეინეკალისა და ჩხამბის (კაშმირი) რაიონებში. როგორც ინდოეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში 3-დან 12 დეკემბრამდე გაანადგურეს პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების 80 თვითმფრინავი. ინდოეთმა დაკარგა 39 თვითმფრინავი. ინდოეთის ჯარებმა გაანადგურეს პაკისტანის 148 ტანკი, ხოლო ინდოეთმა დაკარგა 54 ტანკი.

პაკისტანის სამხედრო წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლაჰორის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შაკარგარჰის რაიონში, პაკისტანის ტერიტორიაზე „გაფორებული ბრძოლები მიმდინარეობს ინდოეთის ქვეგანაყოფების წინააღმდეგ. პაკისტანის ავიაცია ბომბავს ინდოეთის ბაზებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს. კაშმირში ინდოეთის ნაწილებმა დაკარგეს ორი თვითმფრინავი და 14 ტანკი.

პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა რავალპინდში განაცხადა, რომ პაკისტანის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა ინდოეთის სამხედრო ფრეგატი.

ᲡᲐᲥᲓᲡᲘ.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ჯარებმა ბოირას რაიონში (აღმოსავლეთი პაკისტანი) გაანადგურეს 14 ტანკი და მწყობრიდან გამოიყვანეს 250-ზე მეტი პაკისტანელი ჯარისკაცი. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ:** პაკისტანელთა სამხედრო ტექნიკა, რომელიც ხელთ იგდეს ინდოელებმა ბოირას რაიონში.

ფოტო კამერა პრეს-საქდესისა.

ᲩᲐᲙᲚᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

პარიზის გაზეთმა „ფრანს-სუარმა“ ამ დღეებში ჩარლი ჩაპლინის დიდი ფოტოსურათი მოათავსა. სურათის გამოქვეყნების სიბაბი გახდა პარიზის კინოთეატრებში ჩაპლინის ფილმის „ახალი დროების“ განმეორებითი დემონსტრაცია. კინოს სახელგანთქმული ოსტატი გადაღებულია შლიაპით, მოჭაჭული შარვლით, მოღრეცილი ფეხსაცმლით და ხელში ჯოხით. ასე იყო გადაღებული იგი კინოსურათებში, რომლებიც ამხილებდნენ ამერიკული ცხოვრების წესის მანკიერებას.

ჩარლი ჩაპლინის მეტ წილ ძველ ფილმებს უკვე ათეული წლებია ალარ უნახავთ ეკრანი, ჩაპლინი თავის ძველ კინოსურათებზე განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს და კატეგორიულად ამბობდა უარს ყველა წინადადებაზე განმეორებითი გაქირავების შესახებ. მაყურებელთა ომისშემდგომ თაობას არ უნახავს ჩაპლინის განთქმული კინოლენტები. „მეშვიდე ხელოვნების შექსპირს“ ან „კინოს მოლიერს“, როგორც მას ზოგჯერ დასავლეთში უწოდებენ, ახალგაზრდობა მხოლოდ უურმოკრულად იცნობს.

მაგრამ აი მომდინარე წლის ზაფხულში საერთაშორისო კინოფესტივალზე კანში ჩ. ჩაპლინმა გაანაცხადა, რომ თანახმაა გააქროსოს თავისი ძველი კინოფილმები, და მათი „პრემიერებისათვის“ საფრანგეთი აირჩია. „ამერიკიდან, — თქვა მან, — ყველა ჩემი ფილმი ნაჩვენები იქნება მთელ მსოფლიოში. სიცილი კარგია, იგი იმდენადვე დიდმნიშვნელოვანია, როგორც პოეზია“.

„ხალხს უყვარს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ღარიბსა და მდიდარს, ბედნიერსა და უბედურს შორის, — განაცხადა კინოს ოსტატმა, მე ათასჯერ მირჩევნია გონივრული ქცევა უხეშობას ან ბანალობას“.

და აი ნოემბრის დღეებში პარიზის ეკრანებზე გამოვიდა „ახალი დროება“, ჩარლი ჩაპლინის უკანასკნელი მუნჯი ფილმი. „კინომაყურებელთა ახალი თაობა, — წერს ამასთან დაკავშირებით ყოველკვირეული „ლექტ ფრანსეზ“, — ალტაცებით აღმოაჩენს ამ სრულიად უბერებელ კინოლენტს, რომელიც ამათრახებს კაპიტალისტურ წყობილებას და მშრომელთა ექსპლოატაციას“.

ფილმ „ახალი დროებით“ საფრანგეთში გაიხსნა ჩაპლინის კინოსურათების ფესტივალი. ეკრანებზე თანდათანობით გამოვა დიდი ოსტატის საერთო ანგარიშით ათი ფილმი, მათ შორის „ძალლური ცხოვრება“, „ოქროს ციებ-ცხელება“, „დიდი ჭალაკის ჩირაღდნები“, „ცირკი“, „რამპის შუქი“.

დასვენებაზე 82 წლის ჩარლი ჩაპლინი არც კი ფიქრობს. მან ეს არის ახლა დაამთავრა მუშაობა მუსიკალურ პარტიტურაზე თავისი ორი მუნჯი კინოლენტისათვის „ბეშუნა“ და „საშუალო კლასი“, რომლებიც გადაღებულია 1921 წელს. მალე ეს ფილმები კვლავ გამოვა ეკრანებზე. გარდა ამისა, ჩაპლინმა დაწერა ორი კინოცენარი, რომლების მიხედვითაც ამერებს ფილმების დადგმას.

(საკდესი).

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ დამთავრდა ნატოს საბჭოს ზამთრის სესია. ორი დღის განმავლობაში ნატოს წევრი 15 ქვეყნის მინისტრები იხილავდნენ მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივისადმი — მოეწყოს 1972 წელს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

სწორედ ამ საკითხმა, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების მინისტრებმა შეიტანეს დღის წესრიგში, ანგარიში გაუწიეს რა ფრთის უცილობელ მოთხოვნას, გამოიწვია მათ შორის ყველაზე მეტი უთანხმოება. დისკუსიის მსვლელობაში გამოვლინდა ორი ძირითადი ტენდენცია: ერთი მხრივ, „ატლანტისტები“ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ცდილობდნენ ყოველნაირად გაეჭიანურებინათ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა, მეორე მხრივ, მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საფრანგეთმა, დანიამ, ნორვეგიამ, საჭიროდ მიიჩნიეს თათბირის უსწრაფესად მომზადება და მისი მოწვევა რაიმე წინასწარი პირობის დაუთქმელად.

მაგალითად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შუმანმა სესიის ტრიბუნიდან მოუწოდა უსწრაფესად მოამზადონ სრულიად ევროპის თათბირი. მან განაცხადა, რომ „თათბირი ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელების პროცესს“, ხაზი გაუსვა, რომ ეს თათბირი ახლა „უფრო საჭირო, ვიდრე ოდესმი წინათ“. საფრანგეთის მინისტრმა განმარტა, რომ, დაძაბულობის შენელებაში ამ ბოლო დროს მიღწეული ძვრების გამო, საფრანგეთის პოლიტიკურ

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲣᲪᲘᲚᲝᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

მოლაპარაკებებს მიაჩნიათ, რომ არ არსებობს მიზეზი სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის დაყოვნებისათვის, რომ ეს თათბირი საჭიროა, რათა „თავიდან აცილოთ მსოფლიოს გათიშვა ორ ბლოკად“.

ყოველივე ეს არ შეიძლება არ გამოხატულიყო სესიის დასკვნითს კომუნიკეში. აცხადებენ რა, ისე როგორც ნატოს საბჭოს წარსულ სესიაზე ლისაბონში, რომ „მზად არიან დაიწყონ მრავალმხრივი მოლაპარაკება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის მოწვევის მიზნით“, მინისტრები კვლავ უკავშირებენ მის მოწვევას დასავლეთ ბერლინის შესახებ შეთანხმებათა საბოლოოდ დამოავრებას.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „მინისტრებმა მიიღეს ცნობად ფინეთის თავიანთის წინადადება, რათა დაინტერესებული ქვეყნების ჭელსინკში აკრედიტებული მისიათა მეთაურები შეუდგნენ მრავალმხრივ მოლაპარაკებას. მათ განაცხადეს, რომ მთავრობები იწონებენ ამ წინადადებას“.

დიდი ყურადღება დაუთმო საბჭომ საომარ მზადებას. კომუნიკეს დასკვნის ნაწილში, რომელიც ეძღვნება თავდაცვას დაგეგმვის კომიტეტის 8 დეკემბერს გამართულ სესიას, რომელშიც საფრანგეთი არ მონაწილეობდა, პირდაპირ ნათქვამია, რომ „ნატოს საერთო სამხედრო პოტენციალი არ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲒᲐ ᲐᲖᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲡᲘ). ᲥᲐᲚᲐᲥ ᲐᲜᲓᲠᲐ-ᲓᲣ-ᲛᲐᲠᲘᲔᲗᲨᲘ (ᲐᲖᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ) ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲒᲐ ᲡᲐᲡᲢᲐᲜᲑᲔᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ Დ. ᲞᲝᲛᲞᲘᲓᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲒᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲔᲠᲔ ᲨᲔᲡᲬᲠᲘᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲠᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲪᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ.

ᲛᲔ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ. ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲝᲑᲓᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ.

ᲓᲐᲑᲐ ᲰᲐᲛᲘᲠᲘᲡ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲪᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲙᲘᲢᲙᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲢᲧᲘᲡ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲓᲑᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ

ახალი მრავალსართულიანი

თელავი. შორიდანვე მოჩანს „ფიქრის გორაზე“ აღმართული ხარაჩოები, უშველებელი კომკურა ამწეს ცისკენ აშვერილი „ხორთუმი“. ეს მომავალი სასტუმრო „კახეთის“ სილუეტია, რომელსაც საძირკველი ორი წლის წინათ ჩაეყარა და მშენებლები უკვე მეათე სართულს ამთავრებენ.

სასტუმრო „კახეთი“ პირველი მაღლივი შენობა იქნება კახეთში. მალე მისი მიწისზედა 13 სართული დაამშვენებს უძველეს ქართულ ქალაქს, ფლაგმანად მოევლინება თელავის ძველსა და ახალ არქიტექტურას.

სასტუმრო „კახეთის“ მშენებლობაზე გამოყენებულია რკინაბეტონის კარკასი მსუბუქი შემავსებელი საკედლე ბლოკებით, რაც კიდევ უფრო აჩქარებს სამუშაოთა ტემპს. სასტუმროს ექნება 256 ნომერი — საუკეთესოდ მოწყობილი ერთ- და ორადგილიანი ოთახები, რესტორანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

„კახეთის“ მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ვ. ბეჟუაშვილი). მშენებლობას ხელმძღვანელობს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ი. ძამსაშვილი. მშენებელთა სასახელოდ უნდა თქვას, რომ მათ დროს გაუსწრეს — 10 თვეში შეასრულეს წლიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოთა გეგმების შესრულებაში თავი ისახელა კომპლექსურმა ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ამრუზოვი), რომლის შემადგენლობაში არიან მეარმატურეები დ. სარაჯიშვილი, ვ. ჩიკვაიძე, მებეტონეები შ. ზაალიშვილი, ს. გიგოლაიკი, დურგლები რ. მრელაშვილი, შ. ესტატაშვილი, კალატოზები ზ. ქუმსიშვილი, შ. მარკოზაშვილი, კომკურა ამწეს მემანქანე გ. ყარაულაშვილი, მძღოლი ვ. გიორგელაშვილი და სხვები.

სასტუმროს მშენებელთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ყველა მათგანი დიდი მოწადინებით იბრძვის მინდობილი საქმის ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

* * *

სურათზე: სასტუმრო „კახეთის“ მშენებლობა.

ფოტო ა. ბროდსკისა.

ნაქვის ხე პრეზიდენტების დღეებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ზამთრის არდადეგების პერიოდში ბავშვთა და მოსწავლეთა საახალწლო ზეიმის ორგანიზაციის გეგმა და პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, კულტურის სახლებსა და სასახლეებს, კლუბებს, პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებთან და სახალხო განათლების განყოფილებებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი ზამთრის არდადეგების დღეებში ბავშვთა და მოსწავლეთა დასვენებისა და კულტურული მომსახურების მოწყობისათვის.

1971 წლის 31 დეკემბრიდან 1972 წლის 10 იანვრამდე პროფკავშირულ კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებში, წითელ კუთხეებსა და საერთო საცხოვრებლებში გაიმართება საახალწლო ზეიმები, ნაძვის ხვები, დილაობები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, წარმოების მოწინავეებთან, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებთან შეხვედრები.

ზამთრის არდადეგების დღეებში მოეწყობა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები და სპექტაკლები. ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების დათვალიერება, გამოფენები, ექსკურსიები, საბავშვო კინოფილმების ფესტივალები. სპორტულ ბაზებზე მოეწყობა ნორჩ სპორტსმენთა თამაშობანები და ასპარეზობანი, ნორჩ სპორტსმენებთან იმუშავებენ სპორტის ოსტატები და ფიზკულტურული აქტივი. მოსწავლეებს დღის საათებში დაეთმობათ პროფკავშირთა სპორტული ბაზები და სპორტული ინვენტარი.

თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში ეწყობა საერთო-საქალაქო საახალწლო ზეიმები. 220 ათასზე მეტი ბავშვი იმხიარულებს საახალწლო ნაძვის ხეებზე თბილისის სპორტის სასახლეში, რკინიგზელთა სახლში, გორკისა და პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლებში, სტალინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში, საახალწლო ნაძვის ხეები მოეწყობა რესპუბლიკის პროფკავშირთა კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. (საქდესი).

კვლავ ალა კუშნირი

კიროვოდსკი. 14 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს ამ შედგა მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტების ა. კუშნირისა და ნ. ალექსანდრიას ფინალური მატჩის მეცხრე გადადებული პარტიის დამთავრება. ნ. ალექსანდრიას გულშემატკივრები ისხდნენ დარბაზში და ელოდნენ სიურპრიზს, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი არ მომხდარა, ა. კუშნირმა ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და 57-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. მატჩის საბოლოო ანგარიშია 6,5:2,5 ა. კუშნირის სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებით **ალა კუშნირმა ზედიზედ მესამეჯერ მოიპოვა ნონა გაფრინდაშვილთან** გადამწყვეტი თამაშის უფლება მსოფლიოს პირველობაზე.

ე. უგილავა,
ოსტატი.

ქ. ქლიოზინის მემორიალი

გადამწყვეტი ტურების მოლოდინში

მემორიალის დამთავრებამდე 3 ტურიღა დარჩა, 9,5 ქულით პირველ ადგილზეა შტეინი, რომელსაც სხვა მეტოქეებზე მეტი შესაძლებლობა აქვს დაეუფლოს პირველ პრიზს.

ცნობილია, რომ ტურნირებზე პირველი ადგილისათვის ბრძოლაში დიდ ოსტატობასთან ერთად სპორტულ იღბალსაც აქვს მნიშვნელობა. იღბალს კი ლიდერი ვერ დაემდურება. მან ყაიმს მიაღწია რ. ბირნთან, რომელთანაც ხარისხი აკლდა. მოუგო ვ. ულმანს, თუმცა ფიგურით ნაკლები აქონდა, ნახევარი ქულა მოიპოვა ბ. სპასკისთანაც, საღაც სტრატეგიულად ფრიად საეჭვო პოზიცია ქქონდა. ლ. შტეინს სათამაშო დარჩა კარპოვთან, რომელიც ახლა ასევე პრეტენზიას აცხადებს ერთ-ერთ პრიზზე, ვ. ჰორტთან და ვ. ტუჩმაკოვთან. თუ ამ სამ პარტიაში შტეინმა ორი ქულა მოაგროვა, მაშინ იგი, ეტყობა, პირველ ჯილდოს მოიპოვებს.

ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება სმისლოვი. მსოფლიოს ექსჩემპიონი ყველა წლევანდელ ტურნირში ბრწყინვალედ თამაშობს და ახალგაზრდა გროსმაისტერებს ჩინებული მაგალითს აძლევს. სმისლოვს სათამაშო დარჩა ტალთან, კარპოვთან და ჰორტთან.

8,5 ქულით მესამე ადგილზეა პეტროსიანი. მისი მდგომარეობა რამდენადმე გაუარესდა ზედიზედ 5 პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ. ეტყობა, დაღლილობამ იჩინა თავი.

საპრიზო ადგილების დანარჩენი პრეტენდენტები არიან კორპოვი, ბრონშტეინი, ტუჩმაკოვი, ტალი და კორჩნოი.

გ. გამრეკელი.

პრიზი — ცსკა-ს

დიდ ფეხბურთში ცნობილი გახდა ყაზაღეთის ახალგაზრდული გაზეთის — „ლენინსკაია სმენას“ პრიზის — „ალმის ღირსების“ ახალი მფლობელი. ეს არის ცსკა-ს ფეხბურთელთა კოლექტივი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ პრიზს ფლობდა კიევის „დინამო“. მართალია, წელს სსრ კავშირის ნაკრების ოფიციალურ მატჩებში მოთამაშეთა მეტი რაოდენობა კიევის „დინამოს“ ჰყავდა, მაგრამ საკონტროლო და ამხანაგური შეხვედრებში ცსკა-ს მეტი აღმოაჩნდა.

აქ შეგროვილმა ქულებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი. ქულები კი მოთამაშეებს ასე ეწერებოდა; საწვრთნელ შეკრებაზე — 1 ქულა, საკონტროლო თამაშზე — 2 ქულა, საწვრთნელ საერთაშორისო მატჩზე საკლუბო გუნდთან — 3 ქულა, ამხანაგურ მატჩზე სხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან — 5 ქულა, ოფიციალურ მატჩზე ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე — 10 ქულა.

ცსკა-მ სულ 472 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. კიევის დინამოელები 339 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მესამე იყო თბილისის „დინამო“ — 191 ქულა.

მეცნიერი, მკვლევარი

დავით კვესელავას დაბადების 60 წლისთავის გამო

თვალსაჩინო ქართველ მათემატიკოს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ დავით კვესელავას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. თითქმის 35 წელია, რაც იგი ერთგულად ემსახურება თავის საქმეს. დ. კვესელავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრს ხელმძღვანელობს დაარსების დღიდან (1956 წ.).

დავით აღექსანდრეს-ძე კვესელავა დაიბადა 1911 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ღეცილცხვაიეში, გლეხის ოჯახში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტად. ასპირანტურაში მუშაობდა მათემატიკის და მექანიკის ცნობილ მკვლევართან, აკადემიკოს მ. ლავრენტიევთან. მასთან თანამშრომლობამ განსაზღვრა დ. კვესელავას კვლევითი ინტერესები და გამოყენებითი მათემატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგში, რომელსაც კონფორმულ ასახვათა თეორია ჰქვია. ამ თეორიის საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბერნიპული საკითხები უკვე ამომწურავი სიზუსტით არის შესწავლილი. ამის მიუხედავად, კონფორმული ასახვების თეორიის პრაქტიკული გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მახლობელი არეების კონფორმული დადასახვების შესახებ დ. კვესელავას მიერ ასპირანტობის პერიოდში შესრულებული გამოკვლევების ძირითადი ნაწილი საფუძველი გახდა მისი 1940 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაციისა. ეს გამოკვლევები, ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდებით კონფორმულად ასახველი ფუნქციის მოძებნის საკითხისადმი მიძღვნილი უფრო გვიანდელ გამოკვლევებთან ერთად, მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს კონფორმულ ასახვათა თეორიის გამოყენებითი მხარის შესწავლაში.

დ. კვესელავამ ასპირანტურა დაამთავრა საქართველოში მათემატიკური კვლევის განვითარების ყველაზე ხოლსაყრელ პერიოდში. ეს იყო 40-იანი წლების დასაწყისში, როცა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მიერ გამოყენებითი მათემატიკის აქტუალურ პრობლემებზე ჩამოყალიბებულმა სემინარმა. ეს სემინარი უფროსად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მასთან არის დაკავშირებული მრავალი გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ძირითადი წარმატებები, ქართველ მათემატიკოსთა ერთი ჯგუფის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგები და ეგრეთწოდებული ქართული მათემატიკური სკოლის შექმნა. დ. კვესელავა სემინარის დაარსებისთანავე მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა და სერიოზული წვლილი შეიტანა სემინარის ძირითადი პრობლემატიკის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის დამუშავებაში.

დ. კვესელავის ძირითადი მეცნიერული კვლევის შედეგები შეეხება ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანებს გახსნილი კონტურებისა და წყვეტილი კოეფიციენტების შემთხვევაში. ასეთი ამოცანები დ. კვესელავამ გამოიკვლია ნ. მუსხელიშვილთან ერთად. საყურადღებოა, რომ ბასში მიღებული ამოხსნათა კლასიფიკაციითა და ინდექსის ცნების შემოტანით სასაზღვრო ამოცანებმა გახსნილი კონტურების ან წყვეტილი კოეფიციენტების შემთხვევაში ისეთივე დასრულებული სახე მიიღო, როგორიც მათ ჰქონდათ შეკრული კონტურებისა და უწყვეტი კოეფიციენტებისათვის. დ. კვესელავამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია შეუღლების ამოცანის გადაწყვეტისას, რაც საძიებელი ფუნქციების საკონტურო მნიშვნელობანი ერთმანეთთან შეუღლებულნი არიან ძვრის შემდეგ. დ. კვესელავას მიერ მიღებული „ეს შედეგები საფუძვლად დაედო სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მან 1952 წელს ზოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა.

1956 წელს დ. კვესელავა დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორად. მისი დამსახურებაა, რომ გამოთვლითი ცენტრი მოკლე დროში აკადემიის ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაცია გახდა. ხელმძღვანელობის გარდა ინსტიტუტში დ. კვესელავა ნაყოფიერ კვლევას ეწევა თანამედროვე გამოთვლითი მათემატიკის აქტუალურ საკითხებზე, იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა მათემატიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური და სიბუნებისმეტყველო განყოფილების სწავლულ მდივნად, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგედ.

დ. კვესელავა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. დიდი ხანია, რაც მათემატიკური ანალიზისა და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის კურსებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა ამისა, არის თბილისის მათემატიკური სკოლის პედაგოგი.

პირველი სახელმძღვანელო „კომპლექსური ცვლადის ფუნქციები“ ქართულ ენაზე მომზადდა და გამოსცა დ. კვესელავამ. ბევრი საკანდიდატო დისერტაცია მომზადდა, ბევრი ახალგაზრდა ახლა გადის ასპირანტურის კურსს მისი ხელმძღვანელობით.

სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლის მაღალი შეფასება იყო დ. კვესელავასათვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭება (1966 წ.). იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

დ. კვესელავა სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. მისგან ჩვენი მათემატიკური საზოგადოებრიობა კვლავაც მოელის ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევას და ახალ წარმატებებს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ი. ქარცივაძე,
თ. ებანოიძე,

ერთი ფესვისა...

ლეგენდა-სინამდვილე

ღამის მეხრე, მეგუთნე, მევეხვე, მეურმე, მწყემსი, დიასახლისი, მოხუცი თუ ახალგაზრდა შრომით იყო გართული, სიცოცხლე ხარობდა — მცენარეები ფოთლებით შემოსილიყვნენ და ყვავილობდნენ, რომ ამ დროს ალმოსავლეთ საქართველოს დაეხსა შაჰ-აბასის დიდძალი რჩეული ჯარი...

იწვოდა და იფერფლებოდა კახეთის სოფლები, ეკლესიები და მონასტრები, იჩეხებოდა და ნადგურდებოდა ვაზი, ხეხილი... ისმოდა უმწეო ადამიანთა კვნესა-გოდება-გლოვა.

უთანასწორო ბრძოლებში შეპყრობილი და დამარცხებული ბედოკუოდნართი ქართველები სიხლისაგან იცლებოდნენ, სპარსელები ციცხლით და მახვილით სპობდნენ ყველას, ვინც მათ არ ემონებოდა. ტყვეებს მკაცრად ბადრაგობდნენ და მიერეკებოდნენ შუბმოღერებული ყიზილბაშები...

იმ დროს კახეთი უპირისუფლოდ იყო მტოვებული...

თვალუწვდენ ნაკადად მიერეკებოდნენ ქართველ ტყვეებს ირანისაკენ.

— ვგრძნობ, რომ სული თანდათან ეყრება სხეულს, — შესჩივლა ყარამანმა შოთა და მიხეილ მსუქნიშვილებს. — მოხუცებულობამ დამძალა, ჭრილობა არ მასვენებს, მაღონებს, მღრღნის. გზა კი გრძელია, ვერ ვიცლი, მომკალით, მადლია!

— რას ამბობ, ძაო, რიგრიგობით გატარებთ! — ანუგეშებდა მიხეილი.

— არა, თქვენი ჭირი და ვარამი შემეყაროს, — ყარამანი აქვითინდა.— მირჩევნია სამშობლოში დავლიო სული და ჩვენი მიწა დამეყაროს გულზე!

— ძია ყარამან, მაგას რად ამბობ,— მიუალერსა შოთამ, — ჩვენ შენი იმედი გვაქვს!..

— ჩემთანებო, შოთა, მიხეილ!— მოიხმო ყარამანმა ახალგაზრდები, — ვერა ვარ კარგად, ვატყობ ნამდვილად გშორდებთ!

— ძია ყარამან!

— მსუქნიანთ ბიეებო, ეემეულარებით, გაეპარეთ ურჯულოებს, გადადით იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და ყველას შეატყობინეთ ძმათა გასაჭირი და სოხოვეთ გიერთიანება, დახმარება, მამულის შველა... ყოველთვის გწამდეთ, იცოდეთ, რომ ქართველობა ისევ აღსდგება, სამეგიროს გადაუხდის მტერს!— მხნეობა დაეტყო, წამოიწია და სახეგაბრწყინებულმა წაიმღერა:

მშვიდობით, ჩემო მიწავ ქართულო,
მშვიდობით, ჩემო ქართველო
ძმანო,
მშვიდობით, ვაზო,
რქადასლართულო,
ჩემო იორო და ალაზანო!...

— შვილებო, ვაუკაცებო, შოთა, მიხეილ, ჩემი თხოვნა არ დაივიწყოთ, ჯავრი ამოყარეთ მტერზე! —ცრემლი სდიოდა, ძლივს ლულლუღებდა ყარამანი, — გული მეხუთება, წყალი, წყალი...

— ყარამან ძია!..

გარდაიცვალა ყარამანი...

ძმებმა — შოთა და მიხეილ მსუქნიშვილებმა მოახერხეს ტყვეობიდან გაქცევა. ისინი გაუკვალავ გზით გადაიხვეწნენ დასავლეთ საქართველოში. ამათ გარდა ლტოლვილი ქართლელ-კახელები განაცოტანი იყვნენ? მას შემდეგ ის ორი მაღალი, ახოვანი, შავთვალწარბა ვაუკაცი კახეთში, მშობლიურ წინანდალში ალარ დაბრუნებულა. უფრო მოგვიანებით, გამოვიდა ამბავი, რომ მათ — შავი ზღვიდან არცთუ ისე შორს, მთიან სოფელს შეეფარეს თავი...

მას შემდეგ სამასორმოცდათხუთმეტმა წელმა განვლო...

□

მე და ჩემი მეგობარი. ირაკლი ქობულეთში ვისვენებდით...

— შალვა, შოთა მსუქნიშვილს უთხარი წამოვიდეს, მეჩქარებთქო, — უთხრა „ვოლგასთან“ მდგარმა წარმოსადეგმა ვაუკაცმა შოფერს.

— ახლავე!— დასაძახებლად გაემართა შალვა.

— გიგე, მსუქნიშვილი ახსენა! — მუჭლუგუნით მანიშნა მეგობარმა.

— კი მაგრამ...

— დიახ, ჩვენი წინაპრები კახეთიდან ყოფილან! — ალერსიანი თვალით შეათვალიერა ირაკლი, — თქვენც მსუქნიშვილი ხომ არა ბრძანდებით?

— დიახ, მსუქნიშვილი ვარ!

— მართლა? — შეაჩერდა ირაკლის, მიუახლოვდა, — მერე, რაღას ვუყურებთ, წავიდეთ, წამობრძანდით, იქ, ჭახათში, გაგაცნობთ ყველას. ჩვენები ოცნებობენ ნამდვილ მოგვარეებთან შეხვედრას, მათთან დაახლოებას!..

„ვოლგაში“ ჩავსხედით და ახალგაცნობილებს გავეცინეთ. ის ახალგაზრდა ვაუკაცი, რამდენიმე წუთის წინ შოთა მსუქნიშვილი რომ მოიხმო, გამოდგა ჭახათის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა ხახუტაიშვილი.

ქალაქ ქობულეთს გავცდით და ჩემპიონი ყველა წლევანდელ ტურნირში ბრწყინვალედ თამაშობს და ახალგაზრდა გროსმაისტერებს ჩინებულ მაგალითს აძლევს. სმისლოვს სათამაშო დარჩა ტალთან, კარპოვთან და ჰორტთან.

8,5 ქულით მესამე ადგილზეა პეტროსიანი. მისი მდგომარეობა რამდენადმე გაუარესდა ზედიზედ 5 პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ. ეტყობა, დაღლილობამ იჩინა თავი.

საპრიზო ადგილების დანარჩენი პრეტენდენტები არიან კორპოვი, ბრონშტეინი, ტუჩმაკოვი, ტალი და კორჩნოი.

გ. გამრეკელი.

ვინ რამდენი ბურთი გაიტანა?

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატზე ყველაზე მეტი გატანილი ბურთი კიევის „დინამოს“ ალმოაჩნდა — 41, ყველაზე ნაკლები — მოსკოვის „ტორპედოს“ — 27. გატანილი ბურთების რაოდენობით მეორე ადგილზეა ერევნის „არარატი“ — 37, მესამეზე — მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი — 36.

თბილისის „დინამოს“ აქტივშია 33 ბოლი და ამ მეცხრე ადგილზეა. ეი ვინ გაიტანა ეს ბურთები: გ. ნოდია — 7, მ. მაჩაიძე — 5, გ. გაგაშელი — 3, ვ. ბუცაევი — 3, ლ. ნოდია — 3, ფ. რეზვიაშვილი — 3, დ. ყიფიანი — 2, რ. ძოძუაშვილი— 1, ს. კუტუბაძე — 1, ვ. მჭედლიშვილი — 1, გ. პეტრიაშვილი — 1, მ. ხურცილავა — 1. საკუთარ კარში ბურთები გაიტანეს ი. გუბიჩმა („შახტიორი“) — 1 და ვ. ზენკოვმა („სპარტაკი“) — 1.

ტურნე დაამთავრეს

სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე სამხრეთ ამერიკაში. საბჭოთა ფეხბურთელებმა საერთაშორისო შეხვედრები გამართეს ბრაზილიაში, პერუსა და ეკვადორში.

დასკვნითი შეხვედრა ჩვენმა ნაკრებმა ჩაატარა ეკვადორის ჩემპიონთან „ბარსელონასთან“ და მატჩი ფრედ — 1:1 დაამთავრა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, სამასუხო ბურთი კოპეიკინმა გაიტანა.

სსრ კავშირის კლუბების ნაკრება სამშობლოში დაბრუნდა.

ფეიფიფელ მეორეჯერ

თბილისის სპორტის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა ჩვენი რესპუბლიკის ფალავნების ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში ს. კანდელაკის პრიზზე. მონაწილეობდა 23 ათლეტი. ისევე როგორც შარშან, ახლაც საქართველოს ამსოლუტური პირველობა და პრიზიც თბილისელმა შ. გულიაშვილმა მოიპოვა.

რამდენიმე სტრიქონით

● **ორი** დღის შემდეგ მოსკოვში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი შაიბიან ჰოკეიში „იზვესტიის“ პრიზზე. მონაწილეობას მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გამართა ამხანაგური მატჩი ჩვენი ქვეყნის ოლიმპიელებთან და შეხვედრა ფრედ (8:8) დაამთავრა. ბრატისლავაში შვედებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს 8:1.

● **ავსტრალიელმა** მოსწავლე შ. გიულდმა, რომელმაც საკვლისის წლევანდელ ტრადიციულ ანკეტაში პირველი ადგილი დაიკავა, კვირას კიდევ ერთი ახალი მსოფლიო რეკორდი (რიცხვით მეხუთე) დაამყარა. მან 1.500 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 17 წუთსა და 0,6 წამში. ახლა შ. გიულდს ეკუთვნის ყველა რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში 100-დან 1.500 მეტრამდე.

● **ოცდასამი** ქვეყნის სტუდენტთა სპორტულმა ორგანიზაციამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა, სურვილი გამოაცხადა მონაწილეობა მიიღოს მეშვიდე ზამთრის უნივერსიადაში, რომელიც მომავალი წლის 26 თებერვლიდან 5 მარტამდე გაიმართება ლეკიპლასიდში (ამერიკის შეერთებული შტატები, ნიუ-იორკის შტატი). უნივერსიადის პროგრამაშია სათხილამურო რბოლები, ფიგურული ციგურაობა, ჰოკეი, სამთო-სათხილამურო სპორტი და ჩქარონული ციგურაობა.

● **ევროპის** ჩემპიონთა თასის მფლობელი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის რიგის „დაუგავა“ (ტტტ), ახალი გათამაშების მეოთხედფინალურ ტურნირში შეხვდება პრაღის „სპარტას“, პლოვდივის „მარიცას“ და ბუდაპეშტის „ედეტერტეშს“. პირველ მატჩს რიგელები გამართავენ საკუთარ დარბაზში 6 იანვარს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონთან. მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში გამოვლენ კრაკოვის „ვისლა“, სარაევოს „ჟელეზნი-ანარი“, მილანის „ჯეკს სესტო სან-ჯოვანი“ და საფრანგეთის „კლერმონი“.

ტელევიზია

15 დეკემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი— „ჩაიკოვსკი“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — სახალხო კონტროლის ეკრანი, 19.25 — „სტუმრად მომავალ მათემატიკოსებთან“ (განმეორებით), 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — „თუთის ხის ავადმყოფობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები“, 20.50 — მხატვრული ფილმი — „ბომონის ტუსაღები“ (მეორე სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი-სეანები ვერდის ოპერიდან „აიდა“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად— ისტორია (საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. მეათეკლასელთათვის), 19.05 — განცხადებები, 19.10 — ტექნიკუმის მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 20.55 კინოპროგრამა, 21.30 — მხატვრული ფილმი — „ომი და მშვიდობა“ (I სერიის პირველი ნაწილი).

16 დეკემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი, 12.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მაიორი „ვიხრი“ (I სერია), 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — განცხადებები, 18.45 — „ოსტატთა ქალაქი“ — განმეორებით, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო ფილმი — „წინანდალი“ — პრემიერა, 20.35 — გადაცემა — „აფხაზური კედელი“, 21.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. ბუნების კარი. 2. მხატვრული ფილმი „გრძელი რიგი“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — შრომითი სწავლება (ელექტროსამონტაჟო სამუშაოები მე-4-5 კლასებში), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (ფიგურათა ტოლობა, კუთხეების შედარება), 19.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.35 — სტუდენტთა დასახმარებლად— ლექცია მასალათა გამძლეობაში, 21.35 — მხატვრული ფილმი — „ომი და მშვიდობა“ (I სერიის მეორე ნაწილი).

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1971 წელს შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებიდან მოწყვეტით: მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია; სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა; სემიტური ენები; საინჟინრო ფსიქოლოგია.

წარმოებიდან მოუწყვეტლივ: თეორიული და მათემატიკური ფიზიკა; გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა; მიკრობიოლოგია;

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოსცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება ა. წ. 28 დეკემბრამდე, მისაღები გამოცდები დაიწყება 24 დეკემბრიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 1.

არა მარტო დასვენება...

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლამ მილიონობით საბჭოთა ადამიანს შრომისა და დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ამას წინათ მოაწყო ექსკურსია თელავსა და ყვარელში, იურისტები წინანდალში ეწვივნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, რომლის დათვალიერების შემდეგ შეხვდნენ ვეტერან იურისტს, პერსონალურ პენსიონერს ვანო ბურდულაძეს. თელავში დაათვალიერეს სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქალაქის ღირსშესანიშნაბანი, დატკბნენ ალაზნის ველის განუმეორებელი სილამაზით.

შემდეგ ესტუმრნენ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ყვარელში, დათვალიერეს შუამთისა და გრემის მონასტრები, ალავერდის ტაძარი, იყალთოს აკადემია.

პ. მახვილაძე.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის— 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93.28-54.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 ᲔᲔ 12435

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.